სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

20 აგვისტო, 2026 წელი

ბრძანება №01-02/152

„ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 12 აგვისტოს №01-02/151 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტების შერჩევისა და განხორციელების დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 23 ივლისის №06-01/134 დადგენილების, „ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი გრანტის საპროექტო განაცხადის, აღწერილობის და პერსონალის თანხმობის განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 6 აგვისტოს №01-02/149 ბრძანების, „ბსუ-ს 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 05 დეკემბრის №07-01/39 გადაწყვეტილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 17 ივლისის №01-10/76 ბრძანების, ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2026 წლის 12 აგვისტოს სამსახურებრივი ბარათის (№1039079, 12/08/2026 წ.) და ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 12 აგვისტოს წარდგინების (სამსახურებრივი ბარათი №1041060, 12/08/2026 წ.), „ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციათა აღწერილობის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 31 მარტის №01-02/62 ბრძანების, „ბსუ-ს რექტორის ტიტე არაშიძის ქალაქ გორში მივლინების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 19 აგვისტოს №01-14/481 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 12 აგვისტოს №01-02/151 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „ა) საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა - 2026 წლის 13 აგვისტოდან 2026 წლის **20 აგვისტოს 20:00 საათამდე;“.**
2. სამეცნიერო კვლევების სამსახურმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების შესაბამისად ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებული კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების რედაქტირება და ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის წარდგენა.

3. სამეცნიერო კვლევების სამსახურმა და საქმისწარმოების სამსახურმა (კანცელარია) უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანებაში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად საპროექტო განაცხადების და თანდართული დოკუმენტაციის მიღება (რეგისტრაცია).
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (იურიდიული ცნობარის ველში „ბსუ-ს რექტორის აქტები") და ასევე კონკურსების ველში განთავსებული განცხადების თანდართულ ფაილებში.
5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს: ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორის მოადგილე,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ქათამაძე**